603 №6165

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 1 (1015) | სამშაბათი, 1 იანვარი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 80 კაპ.

გილოცავთ ახალ წელს!

მოაქვს ბედნიერება

თორმეტჯერ რეკავს კრემლის კურანტები. ეს მარადსაამო, მოლუღუნე ხმები სიცოცხლის, ბედნიერების სიმღერასავით გაისმის ქალაქებში, სოფლებში, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველ კუთხეში. რეკავს კრემლის კურანტები და ამ თავისებური საზეიმო მარშის ქვეშ დიადი საბჭოთა ქვეყნის მიწა-წყალზე გოლიათურად მოაბიჯებს ახალი, 1957 წელი.

—გამარჯობა, ახალო წელო!

საბჭოთა მშრომელები, სიხარულით, აღტაცებით ეგებებიან ამ საპატიო სტუმარს, რომელსაც მოაქვს ხვავი, დოვლათი, შენება, მშვენება გმირი საბჭოთა ხალხისათვის. ამ საყოველთაო ზეიმის წინ ჩვენი ქვეყნის მშრომელები გონების თვალით ერთხელ კიდევ აჯამებენ განვლილ დღეთა სახელოვან საბჭოთა ამ ძვირფას შენაძენს, რაც გასულმა წელმა შემატა ხალხთა უბრწყინვალესი მომავლის იმ დიად შენობას, რომელსაც კომუნიზმი ჰქვია.

გასული წელი იყო მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის განუხრელი აღმავლობის წელი. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიმართა მსოფლიო სპორტის ისტორიაში მანამდე არნახული გრანდიოზული ღონისძიება — საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, რომელიც საბჭოთა სპორტის ძალისა და ძლიერების, საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობის შესანიშნავი დღესასწაული იყო. ხალხთა სპარტაკიადამ მძლავრი ბიძგი მისცა სპორტის შემდგომ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა ხალხი კანონიერად ამაყობს თავისი სახელგანთქმული სპორტსმენებით, რომლებმაც მელბურნში ახლახან დამთავრებულ XVI ოლიმპიურ თამაშებზე დაძაბულ ბრძოლაში პირველი ადგილი მოიპოვეს და ამ ბრწყინვალე გამარჯვებით კიდევ უფრო აამაღლეს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის სპორტული პრესტიჟი.

ახალ წელს სიხარულით ეგებებიან საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები, რომლებიც სხვებთან ერთად თამამად აჯამებენ გასული წლის შედეგებს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ მეხუთე საპატიო ადგილი დაიკავა. საქართველოს ათი სპორტსმენი მონაწილეობდა მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში, რომელთაგან ორმა გ. კარტოზიამ და მ. ცალქალამანიძემ ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. გასულ წელს მოპოვებული მიღწევებით საქართველოს სპორტსმენებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრეს რესპუბლიკის სახელოვანი სპორტული ტრადიციები.

1956 წელი იყო რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის შემდგომი განვითარების წელი. ათასობით ფიზკულტურელმა დაიმშვენა მკერდი ნიშნით „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის", ნაყოფიერი წვრთნით აიმაღლა სპორტული თანრიგი. ეჭვი არ არის, რომ ფიზკულტურელთა ამ მრავალათასიანი არმიიდან ახლო მომავალში შესანიშნავი სპორტსმენები აღიზრდებიან. მასობრიობა საბჭოთა სპორტის ძალისა და ძლიერების წყაროა, ყველა ჩვენი გამარჯვების სათავეა.

1957

გასული წელი ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა მართალია, ბევრი გამარჯვებით დაათარიღეს, მაგრამ ბევრგან ჩავარდნებსაც ვერ დააღწიეს თავი. ეს ასე იყო, მაგრამ წელს...

დიახ, არ უნდა გამეორდეს. თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცურმა სიტყვამ ამხანაგო ფეხბურთელებო, ფრენბურთელებო, კალათბურთელებო, მძლეოსნებო, მოკრივეებო...

—გამარჯობა, ახალო წელო!

—ამაყად ვამბობთ ჩვენ—სახელოვანი საბჭოთა ქვეყნის ფიზკულტურელები და სპორტსმენები და გაბედულად ვუსწორებთ თვალს მომავალს.

გამარჯობა ახალო წელო! — გზას ვულოცავთ ჩვენ ახალ წელს, რომელიც ახალ გამარჯვებათა გზებით გვატარებს მსოფლიოს დაუპყრობელი სპორტული მწვერვალებისაკენ.

მზადება მსოფლიო ფესტივალისათვის

დელეგაციაში 3000 კაცი იქნება

ამას წინათ მოსკოვში გაიმართა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის საბჭოთა მოსამზადებელი კომიტეტის სხდომა. აქ განხილული იქნა ორი საკითხი: ფესტივალისათვის მზადება ადგილებზე და საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობა. კომკავშირის მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ამხ. სტუკალინმა სხდომას მოახსენა, რომ დედაქალაქის ყველა რაიონში შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტები. გოგონები და ჭაბუკები აქტიურად მონაწილეობენ მოსკოვის გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის, ძერჟინსკის რაიონის ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს გააშენონ VI მსოფლიო ფესტივალის სახელობის პარკი, კარგად მუშაობენ აგრეთვე დედაქალაქის სხვა რაიონების ახალგაზრდები.

ჭაბუკებსა და გოგონებს, რომლებიც ფესტივალზე ჩამოვლენ, მოსკოველებმა გადაწყვიტეს მიართვან სამახსოვრო საჩუქრები.

საბჭოთა მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. რომანოვსკიმ აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა ფესტივალს უნდა შეხვდეს როგორც მხატვრული თვითმოქმედების აღმავლობით, ისე შრომითი წარმატებებით. ფესტივალზე საბჭოთა დელეგაციის შესახებ გამოვიდა ამხ. ვოლინკინა, რომელმაც თქვა, რომ საბჭოთა დელეგაცია ფესტივალზე წარმოდგენილ იქნება 3000 კაცით. ამას გარდა 120 ათასი ჭაბუკი და გოგონა იქნება ფესტივალის სტუმარი.

სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტმა გადაწყვიტა 1957 წელს ჩაატაროს „ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალისადმი" მიძღვნილი ლატარია, რომლის თანხა განსაზღვრულია 300 მილიონი მანეთით. ლატარიის თვითეული ბილეთის ფასი 3 მანეთი იქნება.

ლატარიის მოგებათა ტირაჟი მოეწყობა მოსკოვში 1957 წლის მაისში, მასში გათამაშებული იქნება 100 მილიონი მანეთის 1.086.000 მოგება, რომელთა სიაშია ავტომანქანა „ვოლგა" — 20, „მოსკვიჩი" — 20, მოტოციკლი — 1.300 და სხვ.

ფესტივალისადმი მიძღვნილი ლატარიის ბილეთებს გაავრცელებენ კომკავშირული ორგანიზაციები 1957 წლის პირველ იანვრიდან აპრილამდე. გათამაშებაში მოგებული ბილეთი განაღდებლად წარდგენილ უნდა იქნას 1958 წლის პირველ იანვრამდე, რის შემდეგ იგი ძალას ჰკარგავს.

უღელტეხილების გადალახვით

სამანქანო გზა მხოლოდ სოფელ ქვეშეთამდე მიდიოდა და სწორედ აქედან იწყებოდა ზამთრის მრავალდღიანი ტურისტული ლაშქრობის მონაწილეთა მარშრუტი, რომელიც მლეთის გადასავალისაკენ მიემართებოდა. მიუხედავად ძლიერი პირქარისა და ყინვისა, ლაშქრობის მონაწილეებმა წარმატებით დაძლიეს პირველი ეტაპი და დღის 2 საათისათვის სოფელ გუდაურში იყვნენ. ლაშქრობის პირველი ღამე გაათენეს მლეთის გადასავალზე ზღვის დონიდან 2.395 მეტრის სიმაღლეზე. მეორე დღეს უამინდობა ძალზე არახელსაყრელ პირობებს უქმნიდა მონაწილეებს, რადგან სნოს ხეობაში მთელი დღის განმავლობაში ჰქროდა ძლიერი ქარი. აქედან საძელეს გადასავალით ესტუმრნენ ბარისახოს, ბარისახოდან კი თიანეთის გავლით გადმოვიდნენ გომბორის უღელტეხილზე და თბილისის ზღვით ესტუმრნენ ჩვენს დედაქალაქს.

ეს მეტად საინტერესო ლაშქრობა, რომელიც მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალისადმი იყო მიძღვნილი წარმატებით დაამთავრეს თბილისის ფიზკულტურის კომიტეტთან არსებული ტურიზმის სექციის წევრებმა. ბევრმა მათგანმა აიმაღლა სპორტული თანრიგი, ხოლო ლაშქრობის ხელმძღვანელმა თ. ხომერიკმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

ბაზების რეკონსტრუქცია

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI ფესტივალის დღეებში მოსკოვში მოეწყობა ახალგაზრდობის III საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშები . მოსკოვის 40 სპორტული ნაგებობა გადაეცემა ფესტივალის მონაწილეებს. უდიდესი სტადიონებისა და საწყლოსნო ბაზების გარდა სტუმრების მისაღებად ემზადებიან „ავანგარდის", „კრასნოე ზნამიას", „სტროიტელის", და სხვა საზოგადოებათა სტადიონები. ყველა ისინი საგრძნობლად შეკეთდება, გამწვანდება, მომარაგდება სპორტინვენტარით. ზოგიერთი მათგანი მთლიანად რეკონსტრუირებულ იქნება. მაგალითად, „პიონერკას" სტადიონზე მოეწყობა მეორე საფეხბურთო მოედანი, ახალი სარბენი ბილიკები, მძლეოსნობის სექტორები, ხოლო ფრენბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის მოედნები გადატანილ იქნება სხვა ადგილზე.

ფართოვდება მოსკოვის მსხვილი სპორტული ბაზები. ფესტივალის გახსნისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ახალი მოედნები, საბავშვო სტადიონი. „დინამოს" სტადიონზე განზრახულია მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება.

1957

ოლიმპიელებს ხალისი,
შენს მოსვლას ველოდებოდით,
ჩვენ ახალ სპორტულ მიღწევებს
მუდამ ხალისით ვხვდებოდით.

ჩემი პატარა იქნება
საქმიანი და გულწრფელი,
ვაჟები, ჩვენი მიღწევა
ერთიც არ დამრჩეს უთქმელი.

ნაკლზედაც ვიტყვი, ცხადია,
როგორც ვიცოდი წინათ,
იმას მოვიძიებ წლის ბოლოს,
რაც შრომით დაგვითესია.

ერთი მთა არის, გახედეთ,
თვალუწვდენი და მაღალი,
თუ ზოგ რამეში ჩამოვრჩით,
წარმატებაც გვაქვს მრავალი.

აქეთ ოლიმპის მთა არის,
ბევრჯერ ფეხდაუკარები,
სადაც მწვერვალთ გაბრწყინდა
ქართველ სპორტსმენთა გვარები.

შენც ცოლქალამანიძეს,
განთქმულს ხერხით და ფინტით,

აქ გივი კარტოზია —
რომ გახდა ჩემპიონი.

მეორე მთაზე მოჩანან
ქართველი ალპინისტები.
აქ ვაჟკაცობით, მხნეობით
ჩვენ ყველა მწვერვალს
მივწვდებით.

თოვლში, ზვავსა და გრიგალში
გზა განვლეს დაუდგომელი,
წამოვიდნენ, დალაშქრეს
მწვერვალი დაუპყრობელი.

ჩვენცა ძნელი გზა გვქონდეთ,
და გამძლეობა ვიჩვენოთ,
მთიულარულ მაღალ მთას
ფეხის დადგმა ხომ ძნელია.

ცხალტუბოიდან ვუყავით
ყვავილთა თაიგულებით,
ხელ გამარჯვებით დაბრუნდეს,
მქონდეთ ხალისი ულევი...

სპარტაკიადას ვეტერანთ
ხელ ძმობა იყო ნამდვილი,
ხალხით ჯამში ბევრია,
ბრძოლით მეხუთე ადგილი.

სპორტულ დარბაზს ივაჟნენ
საჩხუბარზე ხვლენზე,
ქუდაობაში იმარჯვებს
სპორტსმენი, რომან ძნელაძე.

ანანიაშვილს უშიშლად
კარგ შედეგს — ტყვიით სროლაში,
ნიკიტინს კვლავაც უსურვებ
წინსვლა ოქშში, სკოლაში,

მაგრამ ნაკლზედაც მსურს
გითხრათ,
რაც ჩვენებს გულს ვერ
უშოლებს,
რა მოუვიდათ, ან ვინ
ჩვენს ცნობილ კალათბურთელებს?!

ნამოურიით ქრივში, ფრენბურთში,
ფრენბურთში — მეტისმეტად,
ეს სამარცხვინო ადგილი
ამით დასრულდება ბედად.

მოგვენატრებათ, კრივი ხომ,
სპორტის სახელგანთქმული,
ჩა კალათაა, ხალხის წინ
ძირს ეგდო მიწას გართხმული?!

მოვდივართ, მოგვიხარია!

გამარჯვებით სიმბოლოს, მილიონობით თანამემამულის ნდობა, მოთამაშეთა გამარჯვებულთა. შორის გამარჯვებულის სახელი, დაუმეგობრდა საყვარელ ქვეყნის საუკეთესო შვილებს, ყველაზე ღირსეულ სოციალისტურ და პატრიოტულ და ყველაზე მეტად შეძლეს დაუზარელ სამშობლოს, ოჯახს, საყვარელ ქალაქს — მართლაც დიდი ბედნიერებაა.

უკან დარჩა ოლიმპიური ცეცხლები, გულთბილი გამოთხოვება მელბურნის პორტში, ხან აფორიაქებული, ხან კი მშვიდი, სარკესავით მოლივლივე ოკეანე და მშობლიური მიწა ვლადივოსტოკში. ოლიმპიადის გმირებს უკვალავის [illegible] ცენტრალური მაგისტრალით უამრავი მოქალაქე მოსკოვისაკენ — ჩვენი სამშობლოს გულისაკენ.

„ვლადივოსტოკი. ფიზკულტურის კომიტეტი, საბჭოთა სპორტული დელეგაციის წევრებს, ოლიმპიურ ჩემპიონებს გივი კარტოზიასა და მიხეილ ცოლქალამანიძეს". თბილისით კოლმეურნე გაიარა ჩვენი გაზეთის მიერ გაგზავნილმა ეს სიტყვებმა, სანამ მიაღწევდა დანიშნულ ადგილს და ფრენამ მათაც რამდენიმე დღით ნაუსწრობ „ტროიკას". დღემ შემდეგ რამდენიმე შეკითხვა ვისაგან, რაზედაც პასუხი მივიღეთ ჩემპიონებმა.

რედაქცია: როგორ გრძნობთ თავს, ოლიმპიელებო.

პასუხი: შესანიშნავად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფეხი დავადგით მშობლიური მიწას ვლადივოსტოკში. დიდი მადლობელი შთაბეჭდილება, მაგრამ არაფერი არ შეედრება იმ გრძნობას, რასაც სამშობლოს სიყვარული უქმნის.

რედაქცია: როგორია შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე მეზღვაურობამ თბომავალ „გრუზიაზე".

პასუხი: ზღვის ამბით ჩვენ, საქართველოს სპორტსმენებს, ყველა მაპატიოსნების როლი უნდა გვეთამაშა. ხშირად ხუმრობით გვეუბნებოდნენ ამხანაგები, რომ ეს მეზღვაურობა თქვენი სტუმართმასპინძლობის გულწრფელი გამოცდა არისო, რადგან ამაზე მეტი და „გრუზიის" სტუმარს ოჯახში ყურადღების ვერ მიიღებთო. „გრუზიაზე" ჩვენს შორის მართლაც ბევრი გამოცდა, მაგრამ ეს მათი ბრალი არ იყო. გემის კაპიტანი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სტუმარი გრძნობა და მოსალოდნელი გზა შეუმჩნეველად დაგვეფარა. და რა მათი ბრალია, თუ კაპიტნის მრავალი ბრძანებაც არ ემორჩილებოდა მხოლოდ ოკეანე, რომელმაც ბევრი სპორტსმენი დააჯილდოვა „ზღვის ავადმყოფობით". ამ მხრივ ყველაზე რთული ტესტი ჭიდაობა(?) ჩვენ გრძნობდა თავს — როგორც ძველი მეზღვაური. გუნდზე ხუმრობით ამბობდნენ, რომ იგი ორივე გრძნობს თავს როგორც თევზი წყალში: სარბენ ბილიკზე და ზღვაშიო.

რედაქცია: როგორ იხილეთ „ჩრდილოეთის ღლენაკიდული" და დარჩა თუ არა ფეხი თქვენს შორის „მოუხსენიებელი?"

პასუხი: ჩვენს დელეგაციაში საკმაოდ ბევრი „მოუხსენიებელი" აღმოჩნდა, რომლებსაც არ ჰქონდათ ჯილდოვნილი ბადატორი. განსაკუთრებით იყო პოლიტიკური ჯგუფების გამოჩენა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თბომავალი გადმოვიდა მეორე ნახევარსფეროში. მოულოდნელად გემზე გამოჩნდა ნეპტუნი, რომლის როლი შესანიშნავად თამაშა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კონსტანტინე ნაზაროვმა. მას გარს ეხვია საკმაოდ ძლიერი ამალა, რომელშიაც არ იყო ძნელი ვიცნოთ ტოკარის, მუხინის, ბალავაძის, კრივცოვის, მელიქიშვილის, ლიპარიძის და სხვათა გამოცნობა.

ნეპტუნმა პირველ მიხედვით ადრიოს საბჭოთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი კონსტანტინე ანდრიანოვი, რომელიც ამიღმ უშიშ გადაისვლო წყალში. მას როგორც ჭირისუფალი მოუქნევ დიმანტიკები. ვერანაზით ვერ ზიარებდა თვით ნეპტუნისა და სერგეი სალნიკოვის მოტყუება, რომლებმაც ნეპტუნს იდრე გადმოაგდეს სამხრეთი კონტინენტის ნაპირზე. მიუხედავად ყოველთვიური ტემპერატურისა, საკმაოდ ადრეულად დასამარცხებული გამიდგა კალათბურთელი ეკიპაჟი, რომელმაც ოსტატურად ჩაყურყუმალავა წყალში, მას მიჰყვა მიხეილ ცოლქალამანიძე.

რედაქცია: გსურთ თუ არა გადასცეთ რაიმე ჩვენი გაზეთის მკითხველებს?

პასუხი: პირველ რიგში მადლობა იმ ყურადღებისათვის, რითაც გარემოცული ვიყავით ოლიმპიადის დღეებში, ამასთან ყველა სპორტსმენს და სპორტის მოყვარულს გვინდა მივულოცოთ ახალი წელი და ვუსურვოთ ახალი წარმატებები შრომაში, სწავლასა და სპორტში. ჩვენც შევეცდებით შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებები. ახალ წელს სულით და გულით თქვენთან ვართ, ძვირფასო მეგობრებო!

მოვდივართ სამშობლოსაკენ — მოგვიხარია!

კვლავ შეხვედრებით სარბიელზე

თავისუფალი ჭიდაობის ქართველ ფალავნებს არა ერთი და ორი მიუწერიათ ფურცელი ნაგოწერიათ ამ სახეობის ისტორიაში. თქვენი ულამაზესი ფინალები მოგვაგონდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, სტამბოლის, ტოკიოს, მელბურნისა და სხვა ქალაქების მაყურებლების ტაშის ქვეშ ბევრჯერ ახსენებენ გამარჯვებულის კვარცხლბეკზე.

ამერიკელებისა და საქართველოს თავისუფალი მოჭიდავეები არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს სარბიელზე. სპორტული მეტოქეები ასპარეზიდან ყოველთვის მეგობრებად ვშორდებოდით. ყოველი მატჩი კიდევ უფრო ამტკიცებდა ჩვენს ურთიერთობას. ამჯერ გარეშეა, რომ ამერიკელებისის მომავალ სპარტაკიადაზე თუ საკავშირო შეჯიბრებებზე ახლავე მეგობრებად დავრჩებით.

მოვულოცავთ ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო!

გ. დადაშევი, საბჭოთა კავშირის თავისუფ ჩემპიონი, სპორტის ოსტატები: **ბ. დადაშევი, რ. მამედბეკოვი, გ. მამედოვი.**

რომ სპორტისანა უწოდონ!

ყოველ ჩვენგანს, როცა ვამთახვლისადლობაში მიმოვებულ მიღწევებზე ნაკუგეულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებში გვახარებს საბჭოთა სპორტსმენების ვითვალიერებთ, რომლებიც ჩვენი სახელოვანი გამარჯვებებია. შობლის სახელგანთქმულ სპორტსმენი სამშობლოს ბუმბერაზი მოვნის ქვებრწყინვალე გამარჯვებებზე მოგვითხრობს მის მწვერვალებს თავს მოცლნენ გული ხიამყის გრძნობით ვეხებით. ვაცნობ ვუკავებ. მ.4 წელია შუა აზიის წარსულის დიდებულ რელიქვებს და ალტაელებიც დაიპყრეს და ტიროლ ვაზილს, ცნობილი ერთებით ჩვენი ქვეყნის ლეგენდარულ დიდ სამშობლოს სახელის გახილეს სპორტსმენებით, რომლებმაც სპორტ და მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალში მაღალი მიღწევებით კიდევ უფრო გაამრავლებს.

დიდებ თავისი ხალხი, დედასამშობლო. გაბედვით რა შემთხვევით, გულთბილი ეს გრძნობა ბუნებრივად გამომჟღავნდა მივულოცავთ ახალ წელს, საქართველოს იმ ხაყოველთათა-სახალხო სიყვარულს და ქალიშვილებს და მოგეწონა რომელთაც გარემოცული არიან გამარჯვება ბუნებრივად ხიდთ სპორტულ ხექციებში სოციალიზმის ქვეყნის სპორტსმენი მაშინ ჩვენს რესპუბლიკაში ერთეულ-

საბჭოთა მშრომელები ადიდრთთვანებიან კი არა, ათეულობით ადიდრებიან არიან ჩვენი სპორტსმენების შესანიშნავი აბაები, ბალავაძეები, ცოლქალამანიძე მოხვედრით XVI ოლიმპიურ თამაშებზე, რაზმაშკიანები, დუმბაძეები, მაჭავარიანები და მათ მსოფლიოს საუკეთესო სპორტს[illegible] ნებთან ბრძოლაში პირველი ადგილი მოიპოვა საქართველოს ტანვარჯიშის ქვეყანას ვეხ. ეს გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა, დღეს კი ფალავნების მხარედ ნათლად მიუთითებს ფიზიკური და სპორტის მიღწ, უფრო მეტი ცოცხლოვანი ტელი აღზრდის საბჭოური ხისტემის უპირატესობით შეუდარებელ ხაჭმეს, რომ სარატესობაზე. ქელის ახალი მომავალში სპორტის ქვე-

სპორტი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ნებელი გმირი ხალხის ცხოვრებისეული მოქმედებით ხაქმიანობის განუყოფელი ნილია. ჩვენ, ცენტრალური და კულტურული თავმჯდომარე

აკადემიკოსი **ნ. კეცხოველი.**

მოთხილამურე.

ფოტოეტიუდი ფ. იაკობიშვილისა

ქართველი ჩვენთან მოსვლა ჩემი ქვეყნის
მხოლოდ კარგ ხურვილს მავონებს.
ძველისა მომავალს ვუსურვებ
ჩვენს მოქალაქე გოგონებს.

გაფრინდეს, გაინავარდოს
გაფრინდამშვილმა ნონამ,
არ დაიძვრის მას თავზრო
ლამაზ-ყვავილთა კონამ.

ჩვენს ტოგონიძე მანანას
და კაკაბაძე ელისოს
მომავალ შეჯიბრებაში
დაეჩნის გვირგვინი ელვისობ.

წინხვლის დიდი წყრთნა კორდება
წვრთნა — გამარჯვების მოკინავს,
უკეთეს შედეგს ვუსურვებთ
კვლავაც ხამ ქართველ გოგონას.

ხალხში ვუთხრათ მუხლიდებს
რომ გაგვიხარა გულები,
ოსტატი გახდა ქალიკში,
კვლავაც უჩივლდეს ქულები.

ოცი წელია ვუცქერით
პაულუ, პეტრე თუ ბევანი,
რომ ფინალისთვის შეგვება
ხასიათული ყევანი.

ნატვრა ასრულდა დიდი ხნის,
არ ვართ ქვეული ძილადა.
ევვანის შემან ფინალის,
გვირგვინიძეს ხედა წილადა.

გვედირსა, რახაც ვნატრობდით,
ვიქვე, ხაჭმე ცოტა წინ არის,
ცხრილში გვენახოს პირველი
ეს მოსაწილე ფინალის...

სიტუროვე ვაკის პარკისა,
განა ვინ უნდა შელახოს,
მატჩები მაყურებლებსა
ხშირ-ხშირად აქაც ენახოს.

სპორტის ახალი ხაზისთვის,
გავეუარეზიშოთ ხელები,
გვიმრავლონ იბილეანრეები, —
ხელმარჯვე ხელბურთელები.

ფეხბურთის პირველობაზე
თვალი ცრემლით არ ინამოს,
წინ გადახვეულებს მერეთან
ძველად ნაქვემი „დინამო".

აი ეს არის სულ მოკლედ
ჩემი პატარა გულწრფელი,
სამთოდ ბევრი გითხარით
და ბევრიც დამრჩა უთქმელი.

მრავალი ქონდეს მიღწევა
ქვეილი იყოს ეს წელი,
შეეწყნოს ჩემი ხარეზი
ის, რაც მე ვიდარ შევძელი.

თანდათან ვჭრები, მივდივარ,
დაგიწვე, როგორც აბადი,
გემრიელის წარმატებები
და მაქარიგის დაბუდი.

კარგად იყავ, ჩემს პატარს
აქ ვუწყამ წლიურ ბეჭედსა:
„სპორტის ხაზელის მოხვეჭა
ყოველის მოსახვეჭელსა"!

ქ. გელათელი

მრავალი ბედნიერი ახალი წელი, მეგობრებო!

ახალი წლის მოლება, რა თქმა უნდა, სამივეს — დედასაც, მამასაც და შვილსაც — გვიხარია. უფროსების სიხარულს, რასაკვირველია, მეტი საბაბი ჰქონდა. თუმცა ამ ერთი ჭკვიანი პატარა ვიგას, კოინცაზე მან პირდაპირი პასუხი შეიძლება ვერ მოგეცეთ, მაგრამ მისი საქციელი კი ყოველ წლის ამაზე მეტყველებს, რომ ვიგას დედ-მამაზე ნაკლებად როდი მოხიბლეს ახალი სამყოფელი.

დილიდან ხალისით დარბის ბავშვი ოთახიდან ოთახში, ხან დედის ნაცნობებს ეთამაშება, ხან მამის მოსამზადებლ, შემდეგ ორივეს მიატოვებს, ადიოდება ტახტზე და დაიწყებს გაუთავებელ კონტრიალს. დილის სახეზე ვერ შეატყობთ...

ვიგას არაჩვეულებრივი სიყვარული და მიდრეკილება აქვს ისეთი თამაშებისაკენ, რომლებიც ტანვარჯიშის მოძრაობებს წააგავს. მერე და რა არის აქ გასაკვირი. კვირაში სამ გვარზე უნდა იხტუნოს და აბა, ვიგა ცდილობს მამის დედის და მამას. დედა — სპორტის დამსახურებული ოსტატი გალინა შარაბიძე ჯერ არა აქვს გარკვეული აზრი შვილის მომავალზე. რადგან ვიგას მომავალზე ლაპარაკი, ჯერ ხომ იგი სულ პატარაა. დედისათვის შვილი მართლაც მუდამ პატარაა, მაგრამ ვიგა დღეს მხოლოდ ცეროდენა შარაბიძეა. სულ სხვა აზრისაა მამა, სპორტის ოსტატი რევაზ შარაბიძე. სწორედ ისაა პატარა ბიჭის მთავარი მწვრთნელი და აღმზრდელი.

— აბა ვიგა ერთი ყირაზე გადადი!—„უბრძანებს" მამა და პატარაც იმავ წამს იწყებს კოტრიალს.

— აბა ვიგა ლეიზე ჩამოეკიდე! — და ვიგაც ხმის ამოუღებლად ეკიდება ჩამოწოლს.

საშინელები ტანმოვარჯიშეების ოჯახს ორჯერ ვესტუმრეთ. პირველად, როდესაც ახალ ბინაში ვნუგბორნე და ჩვენთვის მანქანებზე კოლაბ ქეიფი. მეორედ, როდესაც ახალ ბინაში მოწყობის ფაციფუცი გასული იყო და კარებში დასახლება შემოგვეგება. დასუფთავებული, გარემოსებული ოთახები, გემოვნებით გაწყობილი ავეჯი ოჯახურ მყუდროებაზე მეტყველებდა. მაგიდას მოვუსხედით, მოვიმარჯვეთ ბლოკნოტი, ფანქარი, მაგრამ...

შარაბიძეების ლაპარაკი საჭირო არ იყო. თუ ოჯახის სპორტული მასაზრდელები გაინტერესებთ, შედეგთ ჯილდოებს — წარმატებების ამ უტყუარ საბუთებს. აქ ყველაფერის მეტყველებს: ოლიმპიური ჩემპიონის ნიშნები და საბჭოთა კავშირის უძლიერესი ვარჯიშების ნიშნებს, ფესტივალზე გამარჯვებების ვიმპელების და საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორის დიპლომებს. ერთი სიტყვით, ჯილდო იმდენია, რომ ერთი გვერდი მოთავსებულება საქმებით დაცემულდებოდა. ახლა დიპლომები და სიგელები...

მეზობელ ოთახიდან ხმაური შემოდიოდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ პატარა ვიგას „მაღვიძარა საათი" დამთავრდა. მასპინძლებმა გამოვეთხოვეთ. ოჯახში სადღეს არასწორის არ დაილევა და გარდა ამისა სწავლა და ვარჯიშისაც საჭიროა.

საათის ისარი ოთხს უახლოვდებოდა. ასეთი იყო ბედნიერი ახალი წლის წინადღე სამი შარაბიძის — ვიგას, გალინას და რევაზის ოჯახში.

• • •

არავინ იცოდა თავისი მწვრთნელის ხელწერა უფრო თილია, ვიდრე სპორტსმენისა. რამდენი გამარჯვება, რამდენი მღელვარების ვადატანა უხდება მწვრთნელს, როდესაც უყურებს თავისი აღზრდილის გამოსვლას დიდ არენაზე. და განა მარტო ეს? მწვრთნელი ახალგაზრდის როგორც სპორტული, ისე სულიერი ჩამოყალიბების პროცესში მთავარი ფიგურაა.

მწვრთნელის ყველა ძვირფასი თვისებებით არის დაჯილდოებული ჩვენს სახელოვან მოჭიდავეთა სამქედლის ერთ-ერთი მთავარი მჭედელთაგანი მიხეილ თიგორის-ძე თოკანიძე. მას ყველგან კარგად იცნობენ, ერთნაირად სცემენ პატივს თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოში — ყველგან, სადაც ჭიდაობა უყვართ.

მიხეილ თიგორის-ძეს არა აქვს საიდუმლოებები წვრთნაში. იგი ყველას სიამოვნებით უყვება თავისი მეთოდების შესახებ და პრაქტიკულადაც აჩვენებს მათ. თიკანაძეზე ხშირად ამბობენ: მოუსვენარი ადამიანიაო. როგორ შეიძლება ფლეგმატური იყოს ადამიანი, რომელსაც წინ ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს ვასაკეთებელი ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. მიხეილ თიგორის-ძე დროებით მოულა თავის ყოველდღიურ საქმიანობას, მაგრამ ამის თავისი სასიამოვნო საბაბი აქვს. მან სულ ახლახანს მიიღო ახალი ბინა და თავისი „მოუსვენარი ბუნება" საოჯახო საქმეების მოგვარებაზე გადაიტანა.

ნ. აფრიდონიძე

სურათებზე: (ზევით) რ. და გ. შარაბიძეები თავიანთ მეუღლესთან ერთად. (ქვემოთ) მწვრთნელი მ. თიკანაძე სამუშაო ოთახში.

1956
მელბურნი

ქულათა გამოთვლის საკუთარი სისტემაც ამაო გამოდგა

ყველაზე სწრაფი ქალთა შორის

მათ 20 წელი დაჭირდებათ რომ დაეწიონ საბჭოთა კავშირს

საბჭოთა სპორტის ტრიუმფი

კარგა ხანია დავიწყებას მიეცა ის დრო, როცა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებები უცხოეთის სტადიონებზე საყოველთაო განცვიფრებას იწვევდა. უცხოეთი უკვე შეეჩვია ჩვენი სპორტის გიგანტურ პროგრესს, ჩვენს სპორტსმენთა მაღალ ოსტატობას.

მაგრამ ახალი გაოცება გამოიწვია საბჭოთა გუნდის შესანიშნავმა გამარჯვებამ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე კორტინა დამპეცოში. 7 ოქროს, 3 ვერცხლის, 6 ბრინჯაოს მედალი (103 ქულა არაოფიციალურ ჩათვლაში) წინააღმდეგ 4 ოქროს, 3 ვერცხლის, 4 ბრინჯაოს მედლისა (66,5 ქულა), რაც დააგროვეს მეორე ადგილზე გამოსულმა ავსტრიელებმა, საკმაოდ ნათლად ცხადყოფს ძალთა შეფარდებას სპორტის ზამთრის სახეობებში.

ინგლისის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, შვეციის, შვეიცარიის, ფინეთის, ავსტრიისა და სხვა სახელმწიფოთა გაზეთებმა სამართლიანი პირდაპირობით აღნიშნეს საბჭოთა სპორტსმენების ეს დიდი წარმატება, მაგრამ ამ ქებას ხშირად თან ახლდა შიშიც. შიში იმისა, რომ საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებს შეეძლოთ გაემეორებინათ თავისი ეს გამარჯვება მელბურნშიც.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" წერდა — „სსრ კავშირის წარმატებანი VII ზამთრის თამაშებზე წარმოადგენს აშკარა გამაფრთხილებელ სიგნალს, რომ რუსეთმა ასეთივე რამ მოამზადა დანარჩენი მსოფლიოსათვის მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე. თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ უნდათ კიდევ ერთხელ განიცადონ მარცხი, მათ დასჭირდებათ უფრო ენერგიული მუშაობა, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი თვეები ზაფხულის თამაშებისათვის".

ამერიკის ოლიმპიური კომიტეტის წევრმა დენ ფერისმა ნიუ-იორკში ოფიციალურად განაცხადა: თუ რუსეთი ფიქრობს, რომ შეძლებს მელბურნშიც გაიმეოროს თავისი გამარჯვება, მე ვეჭვობ, რომ ეს არ მოხდება. ისინი გაწბილდებიან. ამერიკის შეერთებულ შტატებში ცუდადაა განვითარებული სპორტის ზამთრის სახეობები, მაგრამ ზაფხულის სახეობებში ჩვენ არავის არ დავუთმობთ პირველ ადგილს ბრძოლის გარეშე".

და აი, მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშებიც ზურგს უკანაა. ახლა, როცა „კრიკეტ გრაუნდის" სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლი ჩაქრა და ყველა ცარიელი გრაფა ცხრილში შეივსო, შეიძლება მშვიდად და აუღელვებლად შევაჯამოთ XVI ოლიმპიადის შედეგები, შეიძლება პასუხი გავცეთ დენ ფერისის ერთობ ნაადრევ პროგნოზებს.

ის, რომ ბრძოლა საერთო პირველი ადგილისათვის არაოფიციალურ ჩათვლაში წარიმართებოდა სსრ კავშირისა და აშშ-ს სპორტსმენთა შორის ეჭვს არ იწვევდა, სადავო იყო მხოლოდ ის, თუ ვინ გაიმარჯვებდა მათ შორის.

როგორც ცნობილია, ჰელსინკის XV თამაშებზე, როცა საბჭოთა სპორტსმენები პირველად გამოვიდნენ ოლიმპიურ ასპარეზზე, არავინ (განსაკუთრებით ამერიკელები) არ ელოდა, რომ ამერიკელთა ჰეგემონიას საერთო-გუნდურ შეჯიბრებებში ბოლო ეღება. მაშინ შეჯიბრებათა შუა ეტაპზე საბჭოთა კავშირის გუნდი ქულათა საგრძნობი განსხვავებით დაცილდა აშშ-ს გუნდს და ამერიკელთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელობამ საგანგებო ზომებს მიმართა მდგომარეობის გამოსასწორებლად (დასამალი არაა, რომ ამ ზომებში შედიოდა „დაწოლა" მსაჯთა მიმართ). მიუხედავად ამისა, ამერიკელებმა შეძლეს მხოლოდ გაეთანაბრებინათ ანგარიში — 494:494.

რომ დაემტკიცებინათ თავისი უპირატესობა, ამერიკელებმა გამოიგონეს ქულათა დათვლის საკუთარი სისტემა. მათ პირველი ადგილისათვის დააწესეს 10 ქულა, მეორე ადგილისათვის — 5, მესამისათვის 4 და ა. შ. მანამდე ქულები შესაბამისად იწერებოდა 7—5—4—3 და ა. შ.

ამერიკელებს იმედი ჰქონდათ, რომ მელბურნში სწორედ ამ პირველი ადგილების წყალობით დაიკავებდნენ საერთო პირველ ადგილს, ამიტომ მათ ქულების დათვლა თავიდანვე თავისი სისტემით დაიწყეს.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის სპორტსმენები ამერიკელებზე წინ იყვნენ 11 სახეობაში, ხოლო 8 სახეობაში ჩამორჩნენ. საბოლოოდ ბრძოლა დამთავრდა ჩვენი გუნდის სასარგებლოდ, ანგარიშით 622:497. საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა 125 ქულის განსხვავებით.

შეიძლება ამერიკელებს პრეტენზია აქვთ დათვლა წარმოებდეს მათ მიერ წარმოებული სისტემით?

ნუ შევედავებით სპორტულ მეტოქეს, დავუთმოთ და დავთვალოთ „ამერიკულად" ე. ი. პირველი ადგილების უპირატესობით. მაშინ საბჭოთა კავშირის გუნდს უგროვდება 733 ქულა, ამერიკელებს კი მხოლოდ 593. ე. ი. განსხვავებამ იმატა 140 ქულამდე.

მხოლოდ მედლების მიხედვით რომ დავითვალოთ, აქაც ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებში ასეთი შეფარდებაა:

სსრკ 37 29 35

აშშ 32 25 17

სპორტში ძნელია მოიგონო რაიმე ახალი სისტემა, რომელიც დამარცხებულს უპირატესობას მისცემს გამარჯვებულთან. რას იზამ ასეთია ფაქტები.

ნ. ცაგარელი

ცხრილი

ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა სპორტსმენთა მიერ დაკავებული საპრიზო ადგილებისა (1—6) მოკავშირე რესპუბლიკათა მიხედვით

№№ რიგზე	რესპუბლიკა	მედლები			ადგილები			მედლების რაოდენობა	დაკავებული ადგილების რაოდენობა
		ოქრო	ვერცხლი	ბრინჯ.	IV	V	VI		
1	მოსკოვი	32	17	29	10	11	5	78	104
2	უკრაინა	15	4	11	3	8	4	30	45
3	ლენინგრადი	10	10	5	2	2	3	25	32
4	რსფსრ	5	6	2	3	1	—	13	17
5	საქართველო	2	—	6	—	—	—	8	8
6	ლატვია	1	4	—	—	—	—	5	5
7	სომხეთი	4	—	—	1	1	—	4	6
8	ლიტვა	—	3	1	—	—	—	4	4
9	ბელორუსია	—	1	—	1	—	—	1	2
10	აზერბაიჯანი	—	1	—	—	—	—	1	1
11	ესტონეთი	—	—	1	1	—	—	1	2

უცხოელები ჩვენს შესახებ

◆

საბჭოთა კავშირის დელეგაციის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ XVI ოლიმპიურ თამაშებზე უცხოეთის პრესამ მეტად მაღალი შეფასება მისცა ჩვენს სპორტსმენებს. მოგვყავს ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილები საზღვარგარეთული გაზეთებიდან.

◆

იტალია

გაზეთი „ჯორნი": „უნდა ვაღიაროთ, რომ რუსები ერთნაირი ყურადღებით ეპყრობიან სპორტის ყველა სახეობას და სრული პასუხისმგებლობით მონაწილეობენ შეჯიბრებებში".

აშშ

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი": „მონაწილეობდნენ რა სულ მეორეჯერ ოლიმპიურ თამაშებში, საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს უპირატესობა ამერიკის შეერთებულ შტატებზე, ხოლო სსრ კავშირი გადაიქცა ქვეყანა-ჩემპიონად".

ჟურნალი „სპორტს ილუსტრეიტედი": „რუსები განაგრძობენ თავის სპორტულ პროგრესს, რომლის დემონსტრაცია მათ მოახდინეს ჯერ ჰელსინკში, ხოლო შემდეგ, კიდევ უფრო მეტი ძალით — ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე".

საფრანგეთი

გაზეთი „ეკიპი": საბჭოთა კავშირის დელეგაცია ყველაზე სტუმართმოყვარე იყო. საბჭოთა სპორტსმენები ერთობლივ წვრთნას ატარებდნენ ინგლისელებთან და ამერიკელებთან. ისინი პირველები იყვნენ, რომლებიც მეგობრულად იწვევდნენ სტუმრად სხვა ქვეყნების დელეგაციებს".

შვეცია

გაზეთ „სტოკჰოლმ-ტიდნინგენი": „საბჭოთა სპორტსმენებმა გამარჯვება მოიპოვეს ოლიმპიადების ისტორიაში უძლიერეს ამერიკულ გუნდზე. ექსპერტების აზრით აშშ-ს დასჭირდება არანაკლებ 20 წელიწადი, რომ დაეწიოს სსრ კავშირს".

ურუგვაი

გაზეთი „ელ დია": „საბჭოთა სპორტსმენების მიერ მოპოვებულმა აბსოლუტურმა გამარჯვებამ თამაშების მიმომხილველები დააყენა ასეთი საკითხის წინაშე: რამდენი დრო უნდა გავიდეს, სანამ აშშ მიაღწევს სსრ კავშირზე უფრო მაღალ შედეგებს".

ავსტრალიელი ჩემპიონები

დონ ფრეზერი

სულ ორიოდე წლით წინ არა თუ მსოფლიოში და ავსტრალიაში, არამედ თავის ქალაქ ადელაიდაშიც არავინ იცნობდა დონ ფრეზერს — მუდამ მომღიმარ, ენერგიულ გოგონას, რომელიც სარძევე ბარში მუშაობდა და დაუღალავად დაარბენინებდა ქაფიანი რძით სავსე ჭიქებს ბუფეტიდან მაგიდებამდე.

დონ ფრეზერი სულ 5 წლისა იყო, როცა ცურვა ისწავლა, ხოლო პირველი ოფიციალური წარმატება 10 წლის ასაკში მოიპოვა. დონი ისეთი გულმოდგინებით, ისეთი გატაცებით ვარჯიშობდა, რომ გამოცდილი სპორტსმენებიც კი განცვიფრებაში მოჰყავდა.

XVI ოლიმპიურ თამაშებზე დონ ფრეზერმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. მან ოქროს მედალი მოიპოვა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 1.02,0.

ლორეინ კრეპი

შეიძლება შეუცდომლად ითქვას, რომ არც ერთი სპორტსმენი არაა ისე პოპულარული ავსტრალიაში, როგორც ეს საშუალო ტანის, ცისფერთვალებიანი გოგონა სიდნეის ერთ-ერთი ფაბრიკიდან. მას ამ ფაბრიკაში „რეკორდების ფაბრიკას" უწოდებენ, ვინაიდან ბოლო ორი წლის მანძილზე ლორეინ კრეპს ტოლი არა ჰყავს თავისუფალი სტილით ცურვაში 200, 400 და 800 მეტრზე.

ლორეინ კრეპმა ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში და ავსტრალიის გუნდის შემადგენლობაში ესტაფეტაში 4×100 მ.

ბეტი კატბერტი

ქალთა ფინალურ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე ავსტრალიელები დარწმუნებული იყვნენ თავის გამარჯვებაში. დარწმუნებული იყვნენ იმიტომ, რომ დე ლა ჰანტი, კროუკერი და მელორი არ ჩამორჩებოდნენ თავის მოწინააღმდეგეებს, ხოლო ბეტი კატბერტი უეჭველად ყველაზე სწრაფად გაირბენდა ბოლო ეტაპს.

მართლაც ასე მოხდა. „ავსტრალიურმა კომეტამ" (როგორც კატბერტს უწოდებენ უცხოეთში) ისეთი ბიძგი მისცა, რომ მასთან ბრძოლა წარმოუდგენელი იყო. როცა იგი ფინიშს შეეხო, წამმზომებმა აღნიშნეს ავსტრალიის გუნდის ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი — 44,5.

ვინაა ყველაზე სწრაფი მორბენალი ქალთა შორის ამჟამად?

ამ კითხვაზე შეუცდომლად შეიძლება პასუხის გაცემა — ბეტი კატბერტი, ოლიმპიური ჩემპიონი ამანათრბენში 4×100 მ, 100 მეტრზე რბენაში და 200 მეტრზე რბენაში.

ჯონ ლენდი

...ოლიმპიურ ფიალაში აინთო ცეცხლი. 100 ათასზე მეტი მაყურებლის თვალწინ ტრიბუნაზე ავიდა განთქმული ავსტრალიელი მძლეოსანი ჯონ ლენდი, რომელმაც წარმოთქვა ოლიმპიური ფიცის სიტყვები:

ჯონ ლენდის შემთხვევით როდი ხვდა წილად ასეთი პატივი — იგი თავისი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი მორბენალია საშუალო მანძილებზე. წელს მიუხედავად ფეხის ტრავმისა ლენდიმ მაინც მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებაში და 1.500 მეტრზე რბენაში მოიპოვა ბრინჯაოს მედალი (მისი შედეგი 3.42,0).

* * *

სურათებზე: (მარცხნიდან) — ფრეზერი, კრეპი, კატბერტი, ლენდი.

რედაქტორი ი. უზულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-84, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14.
უე 07189